# ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის სათავეებთან

**იზოლდა ბელთაძე**
ასოცირებული პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბათუმი, საქართველო

**აბსტრაქტი**

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა XVI-XVIII საუკუნეების ინგლისის ეკონომიკური ისტორიიდან, ინგლისის ერთ-ერთი მდიდარი საპაიო კომპანიის ოსტ-ინდოეთის წარმოშობის წინაპირობები, მისი თავდაპირველი კაპიტალი, მოგება და მნიშვნელობა ინგლისის კოლონიურ ექსპანსიაში.

ირკვევა, რომ ინგლისში ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის დაარსება განაპირობა მთელმა რიგმა ფაქტორებმა:მაუდის მრეწველობის, ვაჭრობის განვითარებამ (1507 წლიდან - ი.ბ), ლონდონის ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიის არსებობამ (რომელიც ეწეოდა მხოლოდ კონტინენტურ ვაჭრობას), რომლისგანაც გამოიყო მდიდარი ვაჭრები საპაიო კომპანიაში გასაერთიანებლად, კაპიტალიზმის განვითარებამ, საზღვაო გზების გადანაცვლებამ აღმოსავლეთში, ინგლისური მაუდის გასაღების და ნედლეულის (აბრეშუმის, ბამბის) ბაზების ძიებამ.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო საპაიო კომპანიის შექმნას, რომელსაც ბრუნვაში ჰქონდა უფრო დიდი კაპიტალი, და ქვეყნისათვის მოჰქონდა უფრო დიდი მოგება, ვიდრე ლონდონის ავანტიურისტთა კომპანიას.

ეს კომპანია დაარსდა 1600 წელს ინგლისის დედოფალ ელისაბედ პირველის დროს (1558-1603 წწ), რომელმაც ქარტიით მიიღო მონოპოლიური უფლება აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში და ყველა კუნძულზე დაწყებული კეთილი იმედის კონცხიდან მაგელანის სრუტემდე. ეს კომპანია თავიდანვე ეწეოდა საქონლის არაექვივალენტურ, ბარტერულ გაცვლას, რითაც იღებდა დიდ-

ძალ მოგებას, რაც ფარავდა საბაჟო გადასახადების და საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს.

სამრეწველო რევოლუციის შემდეგ კი, XVIII - დან ინგლისი-დან ოსტ-ინდოეთში შეჰქონდათ ლითონები, გამოჰქონდათ ისევ სანელებლები, ბამბის და აბრეშუმის ნედლეული, მარილი, ჩაი, კალიუმის ნიტრატი, ოპიუმი და სხვა საქონელი.

ოსტ-ინდოეთის კომპანია შემდეგში არ შემოიფარგლებოდა მარტო ინდოეთთან ვაჭრობით. ისუკავშირდება ირანს და იაპონ-იასაც. კომპანიის მოგება იმდენად დიდი ყოფილა, რომ XVIII ს-ში მის კაპიტალსმიუღწევია 6 მლნ ფუნტ სტერლინგამდე.

ამრიგად, ოსტ - ინდოეთის საპაიო კომპანიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინგლისური მაუდის გასაღების ბაზრების პოვ-ნაში, აღმოსავლური ნედლეულის აბრეშუმის, ბამბის შემოტ-ანაში, საბრუნავი კაპიტალის გაზრდაში, რაც მიიღეს აღმოსავ-ლეთის პროდუქტების: პილპილის, მიხაკ-დარიჩინის, ინდიგოს, ჯავზის და სხვა საქონლის ზედმეტ ფასებში გაყიდვის გზით, კოლონიური იმპერიის შექმნაში, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოს-ავლეთ აზიის დაუფლებაში.

**საძიებო სიტყვები:** საპაიო; კომპანია; პროტექციონისტური; ექსპანსია; ვაჭარ-ავანტიურისტთა; ლევანტის.

**შესავალი**

ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანიის მნიშვნელობა დიდია XVI-XVIII საუკუნეების ინგლისის ეკონომიკური განვითარების ისტორიაში. აღიშნული კომპანიის წარმოშობის შესწავლა და მისი საქმიანობის ანალიზი ბევრ საინტერესო საკითხს მოჰფენს შუქს.

ოსტ-ინდოეთის კომპანიაზე მუშაობდა არაერთი უცხოელი მკვლევარი, მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხთან დაკავშირებით, არ მოგვეპოვება ფუნდამენტალური სამეცნიერო შრომები.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა თუ როგორ და რა მიზნით შეიქმნა ეს კომპანია, რაში გამოიხატებ-ოდა ინგლისის სამეფო ხელისუფლების პროტექციონისტური პოლიტიკა, როგორი იყო აღნიშნული კომპანიის მოგება, როგ-

ორც ქვეყნიდან ინგლისური საქონლის გატანით, ისე აღმოსავლეთის ნედლეულის შემოტანით, რამაც სახელმწიფოს მოუტანა დიდძალი მოგება და ინგლისი გამოიყვანა კოლონიური ექსპანსიის გზაზე.

**მეთოდი**

სტატიაში კრიტიკული ანალიზის მეთოდის საფუძველზე მოცემულია ოსტ-ინდოეთის კომპანიის წარმოშობისა და მნიშვნელობის ისტორია. ნაშრომი ეყრდნობა უცხოელი ავტორების: დ.ეშლის, ე. ბრაბრუქის, თ.რების, ნ. მეშერიაკოვას, ვოლტარჟევსკის და შეგოლევის შრომებს.

**შედეგები**

ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპანიის როლი დიდი იყო XVI-XVIII სს-ის ინგლისის ეკონომიკურ განვითარებაში, ინგლისური მაუდის გასაღების ბაზრების პოვნაში, აღმოსავლური ნედლეულის შემოტანაში ქვეყნის შიგნით, საბრუნავი კაპიტალის გაზრდაში, რაც მიიღეს აღმოსავლეთის პროდუქტების ზედმეტ ფასებში გაყიდვის გზით, კოლონიური იმპერიის შექმნაში, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დაუფლებაში. სწორედ აქედან გამომდინარეობდა სამეფო ხელისუფლების პროტექციონისტური პოლიტიკა აღნიშნული კომპანიის მიმართ.

**დისკუსია**

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა XVI-XVIII საუკუნეების ინგლისის ეკონომიკური ისტორიიდან, ინგლისის ერთ-ერთი მდიდარი საპაიო კომპანიის ოსტ-ინდოეთის წარმოშობის წინაპირობები, მისი თავდაპირველი კაპიტალი, მოგება და მნიშვნელობა ინგლისის კოლონიურ ექსპანსიაში.

XVI საუკუნეს, განსაკუთრებული ადგილი უკავია ინგლისის ისტორიაში. ტიუდორთა პროტექციონისტურ პოლიტიკას თან ახლდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარება. ამ ასწლეულის თავისებურება ის გახლდათ, რომ ინგლისის ეკონომიკაში გაცხოველებით მიმდინარეობდა კაპიტალისტური წყობის დამყარება (7, 1999: 322-355).

XVI საუკუნეში ინგლისის მრეწველობის ძირითად დარგად კვლავ მაუდის წარმოება რჩებოდა. ინგლისის სიმდიდრის ზრდა სწორედ მასზე იყო დამოკიდებული. XVII საუკუნეში მისი წარ-

მოება წარმატებით მიმდინარეობდა. თხელი ძვირად ღირებული მაუდის „ე. წ. დრაპერიეს“ დამზადება წარმოებდა უოლშირის, სომერსეტშირის და კენტერშირის საგრაფოებში. მაგალითად მარტო გლოსტერშირში XVII საუკუნის 20-იან წლებში იყო 1500 საფეიქრო დაზგა, ხოლო მაუდის წარმოებაში დასაქმებული იყო 24 ათასი კაცი. ყოველწლიურად ამზადებდნენ 25 ათას ნაჭერ მაუდს (Мещерякова, 1978: 220). ყოველივე ეს მიუთითებს მაუდის წარმოების დიდმასშტაბზე მთელს ინგლისში.

მაუდის მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო იყო დაქირავებული მუშახელის გაზრდა, ინგლისური უხეში მაუდის (უხეში მაუდი გაჰქონდათ, ხოლო ნაზ მაუდს ქვეყანაში ტოვებდნენ. მისი დამზადება იმდენად ძვირი ჯდებოდა, რომ ინგლისელებს მიაჩნდათ, რომ უმჯობესი იყო თვითონ ეტარებინათ ძვირფასი მაუდის ქსოვილი, ვიდრე გაეტანათ, რადგან მოგება არ რჩებოდათ.- ი.ბ.) გასაღების ბაზრების პოვნა კონტინენტის გარეთ, ბამბის და აბრეშუმის ნედლეულის შემოტანა, საბრუნავი კაპიტალის გაზრდა, რაც შეიძლებოდა მიეღოთ აღმოსავლეთის პროდუქტების: პილპილის, მიხაკ-დარიჩინის, ინდიგოს, ჯავზის და სხვა საქონლის ზედმეტ ფასებში გაყიდვის გზით.

ამ პრობლემების მოგვარებაში დიდი როლი ითამაშა ე. წ. საპაიო (საწილო) კომპანიებმა, მათ შორის ოსტ-ინდოეთის კომპანიამ, რის შესახებაც გვექნება მსჯელობა ქვემოთ.

ეს ის პერიოდია, როცა ინგლისი იწყებს გასვლას ოკეანეში და ხანგრძლივ მოგზაურობებს, რასაც ესაჭიროებოდა მეტი კაპიტალი. სწორედ დიდი კაპიტალის მქონე ვაჭრები გაერთიანდნენ საპაიო კომპანიაში. უფრო მეტიც ასეთ პირობებში ვაჭრებისათვის ხელსაყრელი იყო ჰქონოდა პაი (წილი) ერთდროულად სხვადასხვა კომპანიაში და მიეღოთ შესაბამისი მოგება.

ინგლისში მანამდე არსებული ე.წ. ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანია (1407 წ. შეიქმნა) ეწეოდა კონტინენტურ ვაჭრობას, რომელთან შედარებით საპაიო კომპანია უფრო მეტ კაპიტალს ფლობდა.

სწორედ ინგლისის სხვადსხვა ქალაქების, განსაკუთრებით კი ლონდონის, ვაჭარ-ავანტიურისტთა კომპანიიდან გამოიყო მდი-

დარი ვაჭრები და გაერთიანდა საპაიო კომპანიებში. საპაიო კომ-პანიები კი ინგლისს შედარებით უფრო დიდ მოგებას მისცე-მდა, რაც გამართლდა კიდეც. საპაიო კომპანიებმა დიდი როლი შეასრულეს ინგლისი კოლონიურ ექსპანსიაში - ი.ბ.

ერთი სიტყვით, ინგლისი კოლონიურ ექსპანსიაში ხედავდა გამდიდრების წყაროს. სავაჭრო ბურჟუაზია და ინგლისის არი-სტოკრატია მიისწრაფოდა, რათა ხელში ჩაეგდოთ ფულადი სიმ-დიდრე, რისთვისაც სამეფო ხელისუფლებამ გადადგა სათანადო ნაბიჯი. მარტო 1575-1630 წლებში ზღვის გაღმა ექსპედიციი-სათვის ინვესტირებულ იქნა 3 მლნ ფუნტი სტერლინგი.

ასევე 1601 წლის 31 დეკემბერს დედოფალ ელისაბედ პირვ-ელის (1558-1603 წწ) დროს მიიღეს ქარტია, რომლის მიხედვით გადაწყდა ექსპედიციის გაგზავნა ოსტ-ინდოეთში, აზიის და აფრიკის ქვეყნებში, ნავსადგურებში და ქალაქებში, სადაც გადი-ოდა სავაჭრო გზები. კომპანიამ მიიღო ვაჭრობის მონოპოლიური უფლება აზიაში, აფრიკაში, ამერიკაში და ყველა კუნძულზე დაწ-ყებული კეთილი იმედის კონცხიდან მაგელანის სრუტემდე. ხელისუფლება იძლეოდა გარანტიას იმისა, რომ არავის გარდა კომპანიისა არ მიანიჭებდა ვაჭრობის უფლებას ოსტ-ინდოეთში. კომპანიის მონოპოლიური უფლების დარღვევის შემთხვევაში გატარდებოდა მკაცრი ზომები, მოახდენდნენ საქონლის კონფ-ისკაციას, ერთი ნაწილი გადაეცემოდა სამეფო ხელისუფლებას, ხოლო მეორე ნაწილი კი კომპანიას. დამრღვევნი დაისჯებოდნენ დაპატიმრების და ასევე ფულადი ჯარიმით ერთი ათასი ფუნტი სტერლინგის ოდენობით. ქარტიის მოქმედების ვადა განისაზ-ღვრებოდა 15 წლით. თუ ოსტ-ინდოეთის კომპანია ქვეყანას მოგებას არ მოუტანდა, მაშინ ის უნდა გაეუქმებინათ ორი წლის განმავლობაში, ხოლო თუ კომპანია მომგებიანი იქნებოდა, მაშინ ქარტია უნდა მიეღოთ ისევ 15 წლის ვადით (4, 1934:454-55).

დოკუმენტიდან ჩანს სამეფო ხელისუფლების პროტექციონის-ტური პოლიტიკა სავაჭრო ბურჟუაზიის მიმართ, მაგრამ ამავე დროს მასში ჩადებული იყო ქვეყნისათვის მოგების ინტერესიც. თუ კომპანია ქვეყანას მოგებას არ მოუტანდა უნდა გაეუქმებ-ინათ, ხოლო თუ მოგებას მაშინ გაუგრძელდებოდა ვადა.

ოსტ-ინდოეთისთავდაპირველი კაპიტალი ერთი მონაცემების მიხედვით შეადგენდა 30 133 ფუნტ სტერლინგს 6 შილინგსა და 8 პენსს, ხოლო სხვა მონაცემებით 72 ათას ფუნტს (11:9) ან 70 ათას ფუნტ სტერლინგს (Шеголев, 1938: 226). კომპანიის პირველი გუბერნატორი იყო თომას სმიტი, რომელიც ასევე იყო ლევანტის კომპანიის გუბერნატორიც (Олтаржевский,1998:10; Rabb, 1966: 194).

ოსტ-ინდოეთის კომპანია ითვლიდა 1261 ვაჭარს. საშუალოდ პაი უდრიდა 200 ფუნტ სტერლინგს, სხვა კომპანიები რიცხობრივად ჩამორჩებოდა (Мортон, 1950: 115).

თავდაპირველად კაპიტალის ჩადება ხდებოდა ყოველი სავაჭრო მოგზაურობისას შეტანილი პაის მიხედვით, ხოლო შემდეგ ხდებოდა ახალი კაპიტალის დადება მომდევნო სავაჭრო ექსპედიციის დაფინანსებისათვის. მალე აქციონერებმა (მეპაიეებმა) დაიწყეს კაპიტალის დადება უფრო ხანგრძლივი ვადით რამდენიმე ექსპედიციისათვის, რის შედეგადაც დაგროვდა მუდმივი კაპიტალი, რამაც მას უპირატესობა მისცა სხვა კომპანიებთან შედარებით და შეიქმნა პირობები მუდმივი სავაჭრო ოპერაციებისათვის (Кенингем, 1909: 175).

ოსტ-ინდოეთის კომპანიის პირველი მოგზაურობის დროს სამხრეთ აფრიკაში თორმეტი დღის განმავლობაში იყიდეს 1000 სული ცხვარი და ხარი. ერთი ხარის ფასი შეადგენდა ორ რკინის ბეჭედს (6 დიუმის დიამერტით), ცხვრის ფასიც იმდენივე იყო, ხოლო მაგადასკართან ახლოს ინგლისელებმა 2,5 ფუნტი ბრინჯი შეიძინეს ლამაზი ქვით ან ფერადი მძივით, ხოლო ქოქოსი და ბანანი შეიძინეს ერთი მძივით (Олтаржевский, 1998: 14).

როგორც ჩანს, ინგლისელები ბარტერულ გაცვლას არაექვივალენტურად ახდენდნენ. აქ უდავოდ მოგება დიდი ექნებოდათ.

ოსტ-ინდოეთის კომპანიამ თავისი არსებობის პირველ ხანებში 12 მოგზაურობის შედეგად მიაღწია 100%-იან მოგებას. 12 ექსპედიციის საერთო კაპიტალი შეადგენდა 460 ათას ფუნტ სტერლინგს (Олтаржевский, 1998: 17).

ამ თანხიდან დიდი ნაწილი მოხმარდა გემების აღჭურვას და აღმოსავლეთის საქონლის შესყიდვას.

ვ. ოლტარჟევსკი სამართლიანად მიუთითებდა, რომ ოსტ-ინდოეთის კომპანიის მთავარი პრინციპი იყო საქონლის არა ექვივალენტური გაცვლა (Олтаржевский, 1998: 15). ე. ი. საქონლის შესყიდვა ხდებიდა იაფად და კონტინტზე ჰყიდდნენ ძვირად, რაც კომპანიის ვაჭრებს უტოვებდა დიდ მოგებას.

სწორედ საქონლის არა ექვივალენტური გაცვლის მეთოდის გამოყენებით ოსტ-ინდოეთის კომპანიის ვაჭრები იღებდნენ მოგებას, რაც მნიშვნელოვნად ფარავდა საბაჟო გადასახადებების, საქონლის ტრანსპორტირების და სხვა სახის ხარჯებს. მაგალითად ერთ ფუნტ პილპილს ინგლისელები ყიდულობდნენ 3 პენსად, ხოლო ინგლისში ჰყიდნენ 8 შილინგად და 6 პენსად (Ashley, 1890: 24).

ინგლისელები რომ არა ექვივალენტურად ცვლიდდნენ საქონელს აღმოსავლეთში, ამას ადასტურებს ქვემოთ მოტანილი ცხრილი, სადაც არის გამოსახული საქონლის ფასები ოსტ-ინდოეთში და გასაყიდი ფასები ინგლისში.

| **საქონლის დასახელება** | **გასაყიდი ფასი ოსტ-ინდოეთში** | **გასაყიდი ფასი ინგლისში** |
|---|---|---|
| პილპილი | 3 პენსი | 8 შილინგი და 6 პენსი |
| მიხაკი | 9 პენსი | 6 შილინგი |
| ჯავზი | 4 პენსი | 2 შილინგი |
| ინდიგო | 14 პენსი | 6 შილინგი |

ინგლისური ოსტ-ინდოეთის კომპანიის გარდა არსებობდა ჰოლანდიის აღმოსავლეთ კომპანია, რომლის საწყისი კაპიტალი შეადგენდა 540 ათას ფუნტს, მაშინ როდესაც ოსტ-ინდოეთის იყო 68 ათასი ფუნტი. ჰოლანდიური კომპანია დაარსდა 1602 წელს, ხოლო საფრანგეთის აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანია დაარსდა 1664 წელს. არსებობდა აღმოსავლეთ ინდოეთის სხვა კომპანიები: დანიური, ფლამანდრული, პრუსიული, შვედური, მაგრამ ამ კომპანიებს არ ჰქონიათ დიდი გავლენა.

XVIII საუკუნის ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ ინგლისურმა და ჰოლანდიურმა კომპანიებმა ძირითადად ძვირფასი

ლითონები შემოიტანეს, მათ ნაცვლად შეიძინეს სანელებლები, ქსოვილები, მარილი, ჩაი და სხვა საქონელი. მათ თავიანთი კონკურენტები პორტუგალიელები გააძევეს და ძალიან მალე დაიკავეს წამყვანი პოზიციები ევროპასა და აზიას შორის საზღვაო ვაჭრობაში. ამ ორმა კომპანიამ რევოლუცია მოახდინა როგორც ბიზნესის ორგანიზაციაში, ასევე ევროპისა და ინდოეთის ოკეანეების სავაჭრო სისტემაში.

ჰოლანდიური და ინგლისური კომპანიები თავიანთი დროის უდიდეს ბიზნესებს შორის იყვნენ, დამსაქმებლები და გემთმშენებლები.

1620-იანი წლებისთვის ბრიტანული კომპანიის ფლოტში 2500 ადამიანი მსახურობდა, მათ შორის ორიათასი ინგლისელი.

XVIII საუკუნეში ოსტ-ინდოეთის კომპანია ძლიერ პოლიტიკურ ძალად გადაიქცა. იგი არ შემოიფარგლებოდა მარტო ინდოეთის სავაჭრო ურთიერთობით. ის დაუკავშირდა ირანსა და იაპონიას, სადაც მას ჰქონდა ფაქტორია 1613-1623 წლებში.

ამ პერიოდში მისმა კაპიტალმა 6 მილიონ ფუნტ სტერლინგს მიაღწია. შემდეგში 1850 წლისათვის ოსტ-ინდოეთის კომპანია აკონტროლებდა ინდოეთის სუბკონტინენტის დიდ ნაწილს. კომპანია ვაჭრობდა ბამბით, აბრეშუმით, ჩაით, ინდიგოთი, კალიუმის ნიტრატით და ოპიუმით. კომპანია ასევე ანხორციელებდა ინდოეთის სამხედრო და პოლიტიკურ კონტროლს. კომპანიამ არსებობა დაასრულა 1874 წელს, საფონდო დივიდენტების გაცემის აქტით.

**დასკვნა**

ამრიგად, ოსტ-ინდოეთის საპაიო კომპნიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინგლისური მაუდის გასაღების ბაზრების პოვნაში, აღმოსავლური ნედლეულის აბრეშუმის, ბამბის შემოტანაში, საბრუნავი კაპიტალის გაზრდაში, რაც მიიღეს აღმოსავლეთის პროდუქტების: პილპილის, მიხაკ-დარიჩინის, ინდიგოს, ჯავზის და სხვა საქონლის ზედმეტ ფასებში გაყიდვის გზით, კოლონიური იმპერიის შექმნაში, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დაუფლებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


Ashley, D. (1890). *An indroduction to English Economic History.* London;

Brabrook, E. W. (1889). *The Worshipful Company of Mercers of the city of London and some of its eminent members.*London;

*Statutes of the Realm from original records and authentic manuscripts.* (1816). vol. II. London;

*Select Statutes and other Constituonal Documents Illustrative of the Reign of Elizabeth and james.* (1934). I, Oxbord;

Rabb, T.K. (1966). *Investment in English overseas Enterprise* 1575-1630-E.H,R, 2 and series, V XIX. I.;

*Who's who in history.* (1964). Gen. ED. C.R.N. Routh, vol 2 England 1485 to 1603, new-york;

*Всемирная история*. (1999). Т.10. Минск;

Кенингем, У. (1909). *Рост английской промышленности и торговли в ранний период и средние века.* Москва;

Мещерякова, Н.М. (1978).*Основные черты генезиса капитализма в промышленности Англии XVI первой половины XVII века.* в кн.: «Проблемы генезиса капитализма». Москва;

Мортон, А.А. (1950). *История Англии*. Москва;

Олтаржевский, В.П. (1998). *Английская Ост-Индийская компания в XVI-XVII.* Иркутск;

Шеголев, П.П. (1938). *Очерки из истории западной Европы XVI-XVII вв.* Москва;

ბელთაძე-ხინიკაძე, ი. (2009). *ინგლისის სავაჭრო კომპანიები და კოლონიური ექსპანსია (XV-XVII ს. დასაწყისი).* თბილისი.


## REFERENCES


Ashley, D. (1890).*An indroduction to English Economic History.* London;

Brabrook, E.W. (1889).*The Worshipful Company of Mercers of the city of London and some of its eminent members.* London;

*Statutes of the Realm from original records and authentic manuscripts.* (1816). vol. II. London;

*Select Statutes and other Constituonal Documents Illustrative of the Reign of Elizabeth and james.* (1934). I, Oxbord;

Rabb, T.K. (1966). *Investment in English overseas Enterprise* 1575-1630-E.H,R, 2 and series, V XIX. I.;

*Who's who in history.* (1964). Gen. ED. C.R.N. Routh, vol 2 England 1485 to 1603, new-york;

*Vsemirnaya Istoriya [World history].* (1999). T.10. Minsk;

Keningem, U. нингем, (1909). *Rost Anglijskoj Promyshlennosti I Torgovli v Rannij period I Srednie Veka. [The growth of English industry and commerce in the early period and the Middle Ages].* Москva;

Meshheryakova, N.M. (1978). *Osnovnye Cherty Genezisa Kapitalizma v Promyshlennosti Anglii XVI Pervoj Polovuny XVII veka. v* kn.: «Problemy Genezisa Kapitalizma». *[The main features of the genesis of capitalism in the industry of England in the 16th-first half of the 17th century].* Москva;

Morton, A.A. (1950). *Istoriya Anglii. [History of England].* Москva;

Oltarzhevskij, V.P. (1998). *Anglijskaya Ost-Indijskaya Kompaniya v XVI-XVII.* [*English East India Company in the 18th century].* Irkutsk;

Shegollev, P.P. (1938). Ocherki iz Istorii Zapadnoj Evropy *XVI-XVII v.v. [Essays on the history of Western Europe in the 16th-17th centuries ].* Москva;

Beltadze-Khinikadze, I. (2009). *Inglisis Savach'ro K'omp'aniebi da K'oloniuri Eksp'ansia (XV-XVII s. Dasats'qisi ). [English Trading Companies and Colonial Expansion (Early XV-XVII centuries)].* Tbilisi.

# With the heads of an East - India trading company

**Izolda Beltadze**

Asoc. Professor
Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, Georgia

**Abstract**

We aimed to learn from the economic history of England in the sixteenth and eighteenth centuries, the preconditions for the origin of the East India Company, one of the richest companies in England, its initial capital, profit and importance in the colonial expansion of England.

It turns out that the establishment of the East India Company in England was due to a number of factors: the development of the Maud industry, trade (from 1507 BC) the existence of the London Merchant-Adventure Company (which was engaged only in continental trade), from which the company was separated into a rich , The development of capitalism, the relocation of sea lanes to the east, the search for the English Maud key and the bases of raw materials (silk, cotton).

All of this contributed to the creation of theJoint Stock Company, which had a larger working capital, and brought greater profits to the country than the London Adventure Company.

This company was founded in 1600 during the reign of Queen Elizabeth I of England (1558-1603), who by charter gained monopoly rights in Asia, Africa, America and all the islands from the Cape of Good Hope to the Strait of Magellan. From the very beginning, this company engaged in non-equivalent, barter exchange of goods, thus making large profits, which covered the costs of customs duties and transportation of goods.

After the Industrial Revolution, metals were imported from England to the East Indies from the 18th century onwards, producing spices, cotton and silk raw materials, salt, tea, potassium nitrate, opium, and other commodities.

The East India Company was no longer limited to trading with India alone. It is also associated with Iran and Japan. The company's profits were so great that in the eighteenth century its capital reached 6 6 million.

Thus, the East India Company played an important role in finding key markets for English Maud, importing oriental raw silk, cotton, and increasing working capital obtained through Eastern products such as pepper, cloves, cinnamon, indigo, nutmeg, etc. In the creation of the empire, in the conquest of South and Southeast Asia.

**Keywords:** Action; Company; Protectionist; Expansion; Merchant-Adventurer; Levant.